განცხადება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის (GEA) სახელით

COVID-19-ის კრიზისი და როგორ შეგვიძლია ერთობლივად რეაგირება

▶ მარტი, 2020

შესავალი

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 პანდემიად გამოაცხადა, რითაც აფეთქება გლობალური ჯანმრთელობის საფრთხედ გამოაცხადა. ეს არის ჯანდაცვის,ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რომელიც ჩვენი საზოგადოების ყველა ნაწილის მრავალმხრივ რეაგირებას საჭიროებს. ამ პანდემიის ზემოქმედება ხანგრძლივი იქნება. ვაქცინის მიღებას სავარაუდოდ სულ მცირე 12 თვე დასჭირდება. კრიზისის მომდევნო 12-დან 18 თვის განმავლობაში მოსალოდნელია პერიოდული აფეთქებები. სწორედ ახლა არის კოლექტიური და დაუყოვნებლივი რეაგირების დრო.

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის ეკონომიკური ასპექტები უპრეცენდენტოა. საჭირო გახდება კრიზისებზე რეაგირებისთვის აქამდე არსებული პოლიტიკებისგან რადიკალურად განსხვავებული რეაგირების პოლიტიკების შემუშავება. კერძოდ, COVID-19-ის ზემოქმედება ეკონომიკაზე ნეგატიური იქნება, ვინაიდან ეკონომიკური აქტივობები შემცირებულია მთავრობის პირდაპირი მოქმედებით და ბიზნესის დახურვის გადაწყვეტილებით, რათა შემცირდეს ვირუსის ბევრ ქვეყანაში გავრცელება, არსებული საფრთხე მიგვითითებს იმაზე, რომ მომდევნო კვირებისა და თვეების განმავლობაში აქტიურად მოხდება სამუშაოებიდან დროებითი გათავისუფლება. საჭიროა მნიშვნელოვანი კოორდინირებული ძალისხმევის გამოყენება, რათა მოხდეს თანამშრომლების სამუშაოზე შენარჩუნება, მათი დაცვა შემოსავლის დაკარგვისგან, ფინანსური დანაკარგების შესამსუბუქებლად და ეკონომიკური მდგომარეობის აღსადგენად. ამ საგანგებო სიტუაციასთან მიმართებით ქვეყანამ უნდა გამოიჩინოს პასუხისმგებლობა, სოლიდარობა და ეფექტურობა. ამისათვის, ქვეყანამ უნდა დაიცვას ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ყველა მისი მოქალაქე, თანამშრომელი და მეწარმე. აუცილებელია ყველა საშუალების გამოყენება მუშათა, საწარმოთა, ეკონომიკურ აქტივობათა და საჯარო მომსახურებების შედეგობის შესანარჩუნებლად, რათა კრიზისის დასრულების შემდეგ მათ შეძლონ საკუთარი აქტივობების გაგრძელება.

II. პოლიტიკები

მთავრობებმა მოაწყონ ეროვნული დონის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ კერძო სექტორის წარმომადგენლები და წამყვანი დაინტერესებული მხარეები, როგორიც არიან ბიზნეს გაერთიანებები, აკადემიური და სამეცნიერო წრეების, თემების წარმომადგენლები, ასევე სამინისტროები, რათა მოხდეს COVID-19 პანდემიით გამოწვეულ ეკონომიკურ და სოციალურ გართულებებთან გამკლავება, მთავრობის, დასაქმებულთა და დამსაქმებელ ორგანიზაციათა თანამშრომლობით, რომლებიც ერთობლივად იმუშავებენ პანდემიით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შემსუბუქებაზე, რომ შესაძლებელი გახდეს COVID-19-ის აფეთქებით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური კრიზისების გადალახვა.

ჯანდაცვის სისტემის ხელშემწყობი ზომები:

- ექსპორტის აკრძალვისა და შეზღუდვის თავიდან არიდება, სამედიცინო აღჭურვილობისა და მედიკამენტების იმპორტ/ექსპორტის მიმართულებით;
- საწარმოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ დასაქმებულებს, რომელთაც ჯანდაცვის სფეროში ეკისრებათ დამხმარე როლი (მაგალითად, მოხალისეები, დროებითი დახმარების ფუნქციები). ამისთვის,საწარმოებმა თანამშრომლები უნდა გაუშვან სამსახურიდან უმნიშვნელოვანესი ჯანდაცვის სფეროსთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით;
- აუცილებელი იქნება ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ჯანდაცვის სექტორში მომუშავე პირების ან ბრძოლის მოწინავე ხაზზე მომუშავე პირების სამუშაოზე მისვლა გადაადგილების შეზღუდვის პირობებში;
- საწარმოებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ და გააძლიერონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ზომები, მაგალითად განიხილონ მომუშავე პერსონალის უსაფრთოხების ზომები სოციალური დისტანცირების ფარგლებში;

მომუშავეთა ხელშეწყობის ზომები:

ბიზნესი უნდა დარწმუნდეს, რომ არასაჭირო თავშეყრების პრევენციის მიზნით დადგენილი მითითებები გათვალისწინებულია საბაზისო მომსახურებების და მარაგების მიწოდების პროცესში, დამსაქმებელთა გაერთიანება მიაწვდის კომპანიებს ბიზნესთან და მათ თანამშრომლებთან დაკავშირებულ უსაფრთოხების პროცედურებს, ასევე ხელს შეუწყობს ბიზნესის მიერ რისკების აღქმისა და მართვის სწავლებას. ეს გულისხმობს ისეთი ზომების მიღებას, როგორიცაა:

- სადეზინფექციო სამუშაოების გაუმჯობესებული პროცედურები, მაგალითად ზედაპირების გახშირებული წმენდა საერთო სივრცეებში. თვითმომსახურების გაუქმება სასადილოებში, ხელის სადეზინფექციო სითხეების განთავსების ადგილების გაზრდა, სოციალური დისტანცირების ხელშეწყობის მიზნით საერთო ოთახებში სკამების რაოდენობის შემცირება;
- მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ოჯახური პასუხისმგებლობების მქონე პირებისა და თანამშრომლებისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა, მაშინ, როდესაც სკოლები დახურულია, ასევე მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ოჯახების და თანამშრომლებისთვის ეკონომიკური სიდუხჭირის შემსუბუქება კრიზისის მიმდინარეობის პერიოდში;
- მთავრობამ უნდა უზრუნველყოს დამსაქმებლებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენა, რათა დამსაქმებლებმა შემოიღონ ან

გაახანგრძლივონ ბიულეტინზე ყოფნის და უმუშევრობის ბენეფიტების გადახდა;

- მთავრობამ უნდა განიხილოს გრანტების გაცემისა და დაუყოვნებლივი გადახდების მხარდაჭერის შესაძლებლობები;
- ხელფასზე დანამატების სუბსიდირება და სოციალური კეთილდღეობის საშუალებები ყველა იმ თანამშრომლის საბაზისო შემოსავალის წყარო იქნება, რომლებიც კრიზისის ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ. ეს ვარიანტი განხილული უნდა იქნას მთავრობის მიერ;
- ეროვნული ფინანსური სახსრები, როგორიცაა სოციალური უზრუნველყოფის ფონდები შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს, ზემოთ ჩამოთვლილი დახმარების გაწევის მიზნით. დამატებით, შესაძლებელია სპეციალური "COVID-19"-ის ეროვნული ფონდების" დაარსება, რაც დონორებს, ფილანტროპებს, კერძო სექტორსა და მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს ხელი შეუწყონ ზემოთ ჩამოთვლილი ზომების განხორციელებში;

საწარმოების ხელშეწყობის ზომები:

მთავრობამ უნდა წარმოადგინოს კრიზისული გეგმა, რომელიც დაეხმარება მოწყვლად ბიზნესს და ხელს შეუშლის სამუშაო ადგილების მასობრივ დაკარგვას, ხელს შეუწყობს ბიზნესების ოპერირების გაგრძელებას. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ფინანსურმა მხარდაჭერამ მიაღწიოს საწარმოებამდე, განსაკუთრებით საშუალო და მცირე მეწარმეებამდე და ყველა მუშაკამდე, მათ შორის თვით-დასაქმებულ პირებამდე. ველაფერი უნდა გაკეთდეს ეკონომიკური ინფრასტრუქტურის, ხალხისთვის სამუშაო ადგილების და ბიზნესების შესანარჩუნებლად. ამის მისაღწევად საჭიროა საკმარისი რაოდენობით რესურსების გამოყოფა და ამ სახსრების გადანაწილებასთან დაკავშირებული მკაფიო და რეგულარული ინფორმაციის გავრცელება. შესაბამისად გთავაზობთ შემდეგი ზომების მიღებას:

- მთავრობამ უნდა გააგრძელოს ლიკვიდობის უზრუნველყოფა და განაგრძოს მხარდაჭერის ისეთი სისტემების შემუშავება, რომლებიც დაეხმარება ბევრ მეწარმეს შეძლებისდაგვარად განაგრძოს თავისი საქმიანობა კრიზისის პერიოდში;
- მთავრობებმა უნდა მოახდინონ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომიის შეხვედრების რეგულარული ორგანიზება, სოციალურ პარტნიორებთან ერთად განიხილოს ქვეყნებში არსებული გამოწვევები და მიიღონ მისი შესაბამისი გადაწყვეტილებები;
- მთავრობას შეუძლია შეიმუშავოს დაბალ პროცენტიანი სასესხო პროგრამა კონკრეტული ზომის იმ საწარმოების დასახმარებლად, რომლებიც COVID-19-ის ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ (წარმოების და/ან შემოსავლის კლების შეფასების საფუძველზე);
- მთავრობას შეუძლია პირდაპირი გრანტები გამოყოს საწარმოებისთვის, რათა დაიფაროს სახელფასო ხარჯები ან საშემოსავლო დანაკარგები;
- საგადასახდო უწყებები უნდა გახდნენ მოქნილი, რათა შეუმსუბუქონ კომპანიებს შემოსავალთან დაკავშირებული შეზღუდვები;
- იმისთვის, რომ გამოთავისუფლდეს სახსრები გადასახადების გადასახდელად შესაძლოა გათვალისწინებული იქნას გადასახადების გადახდის რამდენიმეთვიანი გადავადება (უნდა შეიცვალოს მდგომარეობის განვითარების შესაბამისად);
- COVID-19-სგან გამოჯანმრთელებისთვის უხელფასო შვებულებების დაფინანსება გათვალისწინებული უნდა იქნას მძიმე

მდგომარეობაში მყოფი ბიზნესების შემთხვევაში;

- იმ შემთხვევებში, სადაც მიმდინარეობს მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებული მოლაპარაკებები პროცესი უნდა გადაიდოს კრიზისის დასრულებამდე;

ძლიერ დაზარალებული სექტორების ხელშეწყობის ზომები:

მოწინავე სამომხმარებლო და ტურისტულ ბიზნესებზე მოთხოვნისა და შემოსავლის კლება მომდევნო კვირებში ზემოქმედებას მოახდენს სხვა სექტორებზე. დახმარება მოხდება ამ სექტორების თანამშრომლობისთვის ქსელების და ფორუმების მოწყობით, რომლებიც მიმართული იქნება სექტორის შესაბამისი რეაგირების ზომების შემუშავებისკენ. დამსაქმებელთა ასოციაციები ხელს შევუწყობენ საწარმოებს და მარეგულირებელ უწყებებს შორის კომუნიკაციას სექტორის დონეზე, რაც განაპირობებს სექტორის შესაბამისი შეზღუდვების/პრობლემების განსაზღვრას. სექტორის მასტიმულირებელი ზომები მძიმედ დაზარალებული ფირმებისთვის შესაძლოა გამართლებული იყოს.

მომარაგების ჯაჭვის ხელშეწყობის ზომები:

ამ გაურკვევლობის პერიოდში, უპრეცედენტო შეზღუდვების პირობებში, საწარმოებს შესაძლოა გაუჭირდეთ ნედლეულის მიღება, პროდუქტების მიწოდება და წვდომა ბაზრებზე. უნდა გაგრძელდეს ისეთი საბაზისო პროდუქტების მიწოდება როგორიცაა საკვები და საკვები მარაგები, მათ შორის პირუტყვი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო და დამცავი აღჭურვილობა. მომარაგების ჯაჭვთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემები მოიცავს შემდეგს:

- ნედლეულზე წვდომა- ღირებულება და ხარისხი;
- წვდომა ბაზრებზე-მალფუჭებადი პროდუქტების დაკარგვა მიწოდების გახანგრძლივების გამო;
- საბრუნავ კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები- დროის ფაქტორი;
- ბაზრების დაკარგვა- მაგალითად, ლოგისტიკური შეფერხებები საექსპორტო ბაზრებზე ან წარმოებით ჩანაცვლება;
- იმპორტის დიდი ტალღა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად (გარკვეული პროდუქტების შემთხვევაში);
- ბიუჯეტების შეუსრულებლობა- მძიმე პერიოდის გახანგრძლივების შედეგი;
- წარმოების შემცირება მომარაგების სექტორში მომუშავეთა კეთილდღეობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური);

ხაზს ვუსვამთ COVID-19-თან ბრძოლაში საბაზისო მარაგების შეუფერხებელი მიწოდების აუცილებლობას. ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ შემდეგი ზომების მიღებას:

- მომწოდებელთა და იმპორტიორთა გენერალური ჩამონათვალის შემუშავებაში მთავრობისთვის დახმარების აღმოჩენა, და საწარმოო მოცულობების, შესაძლებლობების მასშტაბისა და შეზღუდვების შესახებ მონაცემების შეგროვება;
- ძირითადი სამედიცინო პროდუქტების მწარმოებლების ხელშეწყობა.
- ვაჭრობის სფეროსთვის დახმარების აღმოჩენა, რათა მოხდეს საბაზისო სამედიცინო პროდუქტების იმპორტირება.
- კომუნალური მომსახურების უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა (მაგალითად, ელექტროენერგიის, წყლის);
- მთავრობასთან მუშაობა, რათა მთავრობის მიერ მიღებულმა საგანგებო ზომებმა არ შეაფერხონ მომარაგების ჯაჭვის საბაზისო

მომსახურებების შეფერხება (მაგალითად, საკვები, მედიკამენტები).

აღდგენის ხელშემწყობი ზომები:

მნიშვნელოვანი ფისკალური და მონეტარული სტიმულის მიცემის მიზნით, მთავრობამ უნდა გაასაჯაროვოს საკუთარი ჩანაფიქრი (ეროვნულ პარტნიორებთან და დონორებთან კოორდინაციით). მთავრობას შეუძლია გარკვეული პანიკის ჩახშობა, რომელმაც შეაღწია ჩვენი ეკონომიკისა და საზოგადოების ყველა ელემენტში. მთავრობამ უნდა მიანიშნოს ხელშემწყობ ზომებზე, რომლებიც დაეხმარება სამომავლო აღდგენის პროცესს, შეინარჩუნებს უამრავ ბიზნესს და სამუშაო ადგილს კრიზისულ პერიოდში.სავარაუდოდ საჭირო იქნება კოორდინირებული საერთაშორისი და უწყებათშორისი ფინანსური მხარდაჭერა, რათა აღდგეს ჩვენი დაზიანებული ეკონომიკა. ჩვენ მოვუწოდეთ მთავრობას:

- შეიმუშავოს მასტიმულირებელი ზომები საზოგადოებრივი ჯანდაცვის სუბსიდირებისთვის;
- დაგეგმოს მასშტაბური ფინანსური სტიმულირების ზომები.
- დასაქმების სახელმწიფო პროგრამებში ინვესტირება საცხოვრებლებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით;

არაფორმალური ეკონომიკის ხელშეწყობის ზომები:

ნებისმიერი სხვა ბიზნესის მსგავსად,არაფორმალური ეკონომიკის წარმომადგენელი ბიზნესები პანდემიის გამო უჩივიან მომხმარებლების რაოდენობის კლებას.მომხმარებლები ერიდებიან გადატვირთულ ბაზრებს. სოციალური დისტანციის დაცვა არაფორმალურ ბაზარში მომუშავე პირებისთვის რთულია ბაზრის გადატვირთულობის გამო.ანალოგიური სიტუაციაა სხვა არაფორმალურ სექტორებში, როგორიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტო, ავტომობილების სარემონტო დაწესებულებები და სხვა. ამ სექტორებში ჰიგიენის შენარჩუნება ხელების საპნისა და წყლის საშუალებით დაბანით ძალიან რთულია. არაფორმალური მცირე ბიზნესებისთვის ეკონომიკური მდგომარეობის გამოუსწორებლობა უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს გაჭირვებული ფენის სიღარიბის დონეზე.სახელმწიფო დახმარებებთან, საგადასახადო შეღავათებთან, ახალი საკრედიტო ხაზების ან გრანტების გაცემასთან დაკავშირებული ყველა წინადადება მხოლოდ ფორმალურ საწარმოებს და ოფიციალურ თანამშრომლებს შეეხება.ზემოთ ჩამოთვლილი წინადადებებიდან არცერთი არ იქნება ხელმისაწვდომი არაფორმალური ეკონომიკის პირობებში დასაქმებულებისთვის.შემოსავლების დანაკარგი სავარაუდოდ მასშტაბური იქნება და ასეთ შემთხვევაში არ არსებობს არანაირი სოციალური დაცვა. ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი სოციალური მხარდაჭერის სისტემები ისე, რომ დახმარება აღმოუჩინოთ ყველაზე მძიმე გასაჭირში მყოფებს. ამით ჩვენ შევამცირებთ კრიზისით გამოწვეულ სიღარიბეს და დახმარებას აღმოვუჩენთ ეკონომიკის უფრო ფართო სპექტრს. გვჯერა, რომ მიმდინარე კრიზისის პირობებში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არაფორმალური ეკონომიკისთვის მხარდაჭერის აღმოჩენა. არაფორმალური ეკონომიკისთვის დახმარების აღმოჩენა ასევე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ არსებულ ვითარებაში მას დაავადების შემაკავებლის როლი ეკისრება.

- ვინაიდან არაფორმალური ეკონომიკის სფეროში მომუშავე პირების უმრავლესობას დიდი რაოდენობით ადამიანებთან აქვს კონტაქტი აუცილებელია მათი მომარაგება სადეზინფექციო სითხეებით, პირბადეებით და სხვა დამცავი აღჭურვილობით, რაც დაიცავს მათ და სხვა პირებს;
- წყლის წერტილები უნდა მოეწყოს ბაზრებში და არაფორმალურ სექტორის სხვა კლასტერებში;
- გასათვალისწინებელია არაფორმალურ ეკონომიკაში ჩართულებისთვის მიზანმიმართული დახმარების აღმოჩენა (ან მათთვის, ვინც არ იღებს სხვა ფორმის სოციალურ გრანტს). სპეციალური გრანტებით შესაძლებელია დახმარების აღმოჩენა ყველაზე მოწყვლადი პირებისთვის. შესაძლებელია ამ ნაბიჯმა მასტიმულირებელი ეფექტი იქონიოს მთლიანად ეკონომიკაზე. გარდა ამისა, რომ ეს არის მსგავს გრანტებში მნიშვნელოვანი ინოვაციების განხორციელების შესაძლებლობა.

III. რას ვაკეთებთ

დამსაქმებელთა ასოციაციები ატარებენ წევრების საჭიროებების შეფასებას, რათა განისაზღვროს თუ რა ზემოქმედებას ახდენს პანდემია საწარმოებზე და მათ თანამშრომლებზე. მიღებული ინფორმაცია შესაძლებელს გახდის ეროვნული რეაგირების ფორმის შერჩევას.

- კრიზისის პირობებში დამსაქმებელთა ასოციაციები მჭიდროდ მუშაობენ მთავრობასთან, უზიარებენ მას ზუსტ ინფორმაციას. რაც მნიშვნელოვანია ცრუ ინფორმაციასთან, პანიკასთან ბრძოლის და საზოგადოების დაძაბულობის მოსადუნებელად;
- დამსაქმებელთა ასოციაციები მუშაობენ წევრებთან რათა, გამოავლინონ საჯარო მომსახურეობების საკვანძო სფეროები, რომლებიც მომდევნო თვეებში განსაკუთრებულად პრობლემატური გახდებიან. შესაბამისად, კერძო სექტორი მოახდენს სათანადო რეაგირებას. ყველაზე მნიშვნელოვანია მომდევნო კვირებისა და თვეებისთვის ბიზნესის უწყვეტობის გეგმების შემუშავება. ამ პერიოდის განმავლობაში დამსაქმებელთა ასოციაციები იმუშავებენ წევრებთან, რათა დაეხმარონ მათ ბიზნესის უწყვეტობის გეგმების შემუშავებაში;
- კომპანიების ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით დამსაქმებელთა ასოციაციები აწვდიან ბიზნესს ყველა სახის სიახლესა და რეკომენდაციებს, რაც შემუშავებულია მთავრობებისა და სხვა მხარეების მიერ;
- დამსაქმებელთა ასოციაციები მხარს უჭერენ ბიზნესს საგანგებო მდგომარეობის პირობებში საქმიანობის გაგრძელების მიმართულებით, რაც გულისხმობს მთავრობებთან შუამდგომლობის დაყენებას;
- დამსაქმებელთა ასოციაციები ეხმარებიან ბიზნესს შრომისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების იმ რეკომენდაციებისა და მოთხოვნების გათვალისწინებაში, რომელიც შემუშავებულია მთავრობების მიერ COVID 19 - თან დაკავშირებით;
- დამსაქმებელთა ასოციაციები ეხმარებიან ბიზნესს დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის დიალოგის გზით კრიზისული პერიოდის გადალახვასა და გარკვეულ საკომპრომისო თანამშრომლობაზე შეთანხმებში, სადაც მაქსიმალურად

იქნება გათვალისწინებული ერთის მხრივ, სამუშაო ადგილების შენარჩუნების ინტერესი და მეორეს მხრივ, ბიზნესის გადარჩენის ინტერესი.

IV. როგორ ვიმუშავებთ

დამსაქმებელთა ასოციაციები მიმდინარეობს სრულყოფილად მუშაობა პანდემიის დროს და განაგრძობენ ბიზნესებისთვის მნიშვნელოვანი მომსახურებების მოწოდებას ახალ რეალობასთან დაკავშირებული გამოწვევების გათვალისწინებით, რომელიც ჩვენგან მოითხოვს სოციალურ დისტანცირებასთან, მოგზაურობის შეზღუდვასთან, სახლიდან მუშაობასთან, შეხვედრების გადადებასთან ან გაუქმებასთან ადაპტირებას, ჩვენ დავნერგეთ ბიზნესის უწყვეტობის სტრატეგია ყოველდღიური საქმიანობის განსახორციელებლად, რაც საშუალებას გვაძლევს დავიცვათ ჩვენი თანამშრომლები და პატივისცემით მოვეპყროთ იმ როლს, რომელიც ჩვენ გვაკისრია ვირუსის ჩვენს ოჯახებში, მეგობრებსა და საზოგადოებაში გავრცელების პრევენციის მიმართულებით.

მონიტორინგს, რომელიც უკავშირდება ბიზნესის უწყვეტობას.

კომუნიკაცია: ჩვენ ვიყენებთ ყველა საჭირო ინსტრუმენტს იმისათვის, რათა შევინარჩუნოთ თქვენთან კომუნიკაცია და გაცნობოთ თუ რას ვაკეთებთ მთავრობის წინაშე თქვენი ინტერესების დასაცავად.

გვჯერა, რომ ყველა ზომა რეგულარულად უნდა გაუმჯობესდეს, რათა განისაზღვროს ამ ზომების შესაბამისობა და ეფექტურობა. ქვეყნები მნიშვნელოვანი კრიზისის წინაშე დგანან, რომელსაც განსაკუთრებული მასშტაბები აქვს და ზეგავლენას ახდენს თითოეულ ჩვენგანზე. შესაბამისად, სწორედ ახლა არის დროს, როდესაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა შევინარჩუნოთ ჩვენი ეკონომიკა და ქვეყნების სოციალური წონასწორობა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია
მის: ქ. თბილისი, ნ. ბოხუას ქ. 4
ელ-ფოსტა:office@employer.ge
employer@employer.ge
ტელ: (+995 579) 555551; (+995 597) 186644
ვებ-გვერდი: www.employer.ge

დოკუმენტი ქართულ ენაზე მომზადდა პროექტის ILO/DANIDA: „ყოვლისმომცველი შრომის ბაზარი სამუშაო ადგილების შესაქმნელად საქართველოში“ ფინანსური ხელშეწყობით